თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 3 თებერვალი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ნინო ოქრუაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ნინო ოქრუაძე, 2. ნატო კვეტენაძე, 3. ლაშა გურგენიძე, 4. ომარი ჯიხვაშვილი, 5. ელისო მურადაშვილი, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7. მანუჩარ ფანჩულიძე, 8. ჯანო რობაქიძე, 9. მაკა ყიფშიძე, 10. გიორგი თურქაძე, 11. მამული კოვზირიძე, 12. ნოდარი ხოხიაშვილი, 13. რამაზი ლორთქიფანიძე, 14. ერეკლე კირკიტაძე, 15. გიორგი ქასრაშვილი, 16. ჯემალ ისაკაძე.

კომისიის შემადგენლობა: 16 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 16
კვორუმი: 8 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282603357, 02.02.2026 წ.).

მომხს.: ნ.ოქრუაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ოქრუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის

მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანია, სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე სპორტსმენისა და მწვრთნელის წახალისების მექანიზმის დადგენა.

ცვლილების შესაბამისად, დადგენილებას ემატება ნორმები, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებულ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით მონაწილე 14–25 წლის ასაკის (თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენს, რომელმაც აღნიშნულ ტურნირებზე დაიკავა I, II ან III ადგილი. ამასთანავე, ცვლილება ვრცელდება სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევების მქონე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ მწვრთნელსა და სპორტის სპეციალისტზე, რომელიც საქმიანობას ეწევა ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სახელით. დადგენილებით განისაზღვრება, რომ სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევებისთვის სპორტსმენისა და მწვრთნელის დაჯილდოებაზე წელიწადში ერთჯერადად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენას უზრუნველყოფს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორი. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება სპორტული მიღწევების დაფასებას, ნიჭიერი ახალგაზრდებისა და კვალიფიციური კადრების მოტივაციის ზრდას, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში სპორტის სისტემურ განვითარებას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის № 44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ოქრუაძე